საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 450

03 06 2019 წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საბჭოს აპარატის უფროსის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოადგილის, თამარ მახარაშვილის 2019 წლის 28 მაისის №654260 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2019 წლის 04 ივნისიდან 2019 წლის 13 ივნისის ჩათვლით, გამოცხადდეს კონკურსი ცენტრის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საბჭოს აპარატის უფროსის შერჩევის მიზნით.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ თანამდებობაზე თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 2300 (ორი ათას სამასი) ლარიდან 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარამდე, შესასრულებელი სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე.
3. სამუშაოს ტიპი - სრული განაკვეთი.
4. გამოსაცდელი ვადა - 3 (სამი) თვე.
5. ცენტრის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საბჭოს აპარატის უფროსის საკვალიფიკაციო მოთხოვნებად განისაზღვროს:
ა) ნაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) სამუშაო გამოცდილება - არანაკლებ 10 წელი, მათ შორის განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი და მენეჯერულ/ხელმძღვანელ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება;
გ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების, მასში მიმდინარე პროცესებისა და სპეციფიკის ცოდნა, რაც დასტურდება შესაბამისი სამუშაო გამოცდილებით;
დ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტად მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება;
ე) პროფესიის სტანდარტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავების/ფასილიტაციის გამოცდილება;
ვ) სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის 89/ნ ბრძანება;
- „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილება;
- „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანება;
- „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №71/ნ ბრძანება;
- „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების საფასურის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 02 აპრილის №67/ნ ბრძანება.

ზ) კომპიუტერული პროგრამების - MS Word, MS Excel, MS Power Point, MS Outlook – კარგად ცოდნა;
თ) უცხო ენის ცოდნა.

6. კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს:
ა) ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
ბ) სწრაფი რეაგირების და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
გ) პრობლემების გადაჭრისა და კონფლიქტების მართვის უნარი;
დ) ანალიტიკური და სისტემური აზროვნების უნარი;
ე) დაგეგმვის, ლიდერობის და ხელმძღვანელობის უნარი;
ვ) გუნდური მუშაობის უნარი.

7. ცენტრის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საბჭოს აპარატის უფროსის ფუნქციებად განისაზღვროს:
ა) საბჭოს აპარატის აქტივობათა დაგეგმვა, განხორციელების მხარდაჭერა და კოორდინაცია;
ბ) კომუნიკაცია პროფესიული მომზადების პროგრამის და პროფესიული გადამზადების პროგრამის უფლების მოპოვების პროცესში ჩართულ მხარეებთან;
გ) საბჭოს აპარატის თანამშრომელთა/ექსპერტთა საქმიანობის ხელმძღვანელობა, თანამშრომელთა შორის საქმიანობის განაწილება, მათთვის მკაფიო მითითებების მიცემა, შუალედური და საბოლოო უკუკავშირის მიცემა შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით;
დ) პროფესიული მომზადების პროგრამის და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით შემოსული განაცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვის კოორდინაცია;

ე) პროფესიული მომზადების პროგრამის და პროფესიული გადამზადების პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის პროცესის ხელმძღვანელობა;
ვ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საბჭოს გადაწყვეტილებების ელექტრონულ სისტემაში ასახვის კოორდინაცია;
ზ) ცენტრის დირექტორის მიერ გამოსაცემი ინდივიდუალური ადმინისტარციულ-სამართლებლივი აქტების ინიცირება.

8. ცენტრის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საბჭოს აპარატის უფროსის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისთვის კანდიდატმა ცენტრის ელექტრონულ ფოსტაზე - hr-jobs@eqe.ge აუცილებლად უნდა გამოაგზავნოს:
ა) კვალიფიკაციის/განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი;
ბ) ავტობიოგრაფია (CV) ორი რეკომენდატორის მითითებით.

9. ცენტრის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საბჭოს აპარატის უფროსის შესარჩევი კონკურსის ეტაპებად განისაზღვროს:
ა) განაცხადების წარდგენა;
ბ) კანდიდატების მიერ წარდგენილი განაცხადების გადარჩევა;
გ) გასაუბრება.

10. თითოეულ კანდიდატთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება განაცხადების წარმოდგენის ვადის დასრულებიდან 1 თვის ვადაში.

11. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ვებგვერდის - www.jobs.ge მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

12. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.

13. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

გიორგი ვაშაკიძე